ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N8

სხდომის ჩატარების დრო:

29 ივნისი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერვე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან 30 წევრი

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: ნ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 5 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი ი.ქარქაშაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ქალბატონი ე.ნიკიფი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღების, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი გ.კუჭუხიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ი.გიორგაძე, მერიის სამსახურებისა და

საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ:** „მივესალმები დამსწრე საზოგადოებას, აღმასრულებელს. მივესალმები მედიის წარმომადგენლებს, რომელებიც დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად არიან წარმოდგენილი, მათ შორის, ცენტრალური მედია. კარგია, რომ მედია და მათ შორის, ცენტრალური მედია ინტერესდება ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებით. მივესალმები და ვფიქრობ, რომ ეს პრაქტიკა სხვა შემთხვევებშიც უნდა გაგრძელდეს, ვინაიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესები საზოგადოებისთვის უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე მედიის დახმარებით.“

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „მე მინდა გავაკეთო განცხადება გუშინდელ ფაქტთან დაკავშირებით. ეს სიტუაცია ცნობილია საზოგადოებისთვის. ჩვენ დავდიოდით მოსახლეობაში და სრულიად უწყინარ ფლაიერებს წარწერით: „შინ ევროპისაკენ“ ვარიგებდით. ვცდილობდით მოსახლეობისთვის გაგვეცნო რამდენად კარგია ევროპა, რა სიკეთეები შეიძლება მოგვიტანოს და ჩემდა სასიხარულოდ, ქუთაისის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. ქუთაისი ევროპული ქალაქია და ეს ეტყობოდა კიდეც. სამუშაო საათებში, დაახლოებით ხუთი საათისთვის, დაიწყო მანქანებით ადამიანების მოყვანა და გამოჩნდა 40-მდე ადამიანი ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევთან. ეს იყო ჯგუფი საჯარო მოხელეებისა, რომლებიც გაგვეცნენ როგორც ნიკეას ქუჩის მაცხოვრებლები. მათი აბსოლუტური უმრავლესობა საერთოდ არ ცხოვრობს იმ უბანში. ყველას იდენტიფიცირება, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, მაგრამ მე მინდა მათი ძირითადი ნაწილი გავაცნო საზოგადოებას. ქალაქის მერმა იცოდა რაზე იქნებოდა დღეს საუბარი და სწორი ქნა, რომ არ ესწრება ამ სხდომას. ნამდვილად იქნებოდა

უხერხული, ვინაიდან, მასთან მექნებოდა შეკითხვა თუ რა უნდოდა იქ მის საჯარო მოხელეებს პრორუსული განცხადებებით, რომლებიც გვიმტკიცებდნენ, რომ ჩვენ არ გვინდა ევროპა, იქ შესვლა ნიშნავს ომს და მთელი ორი საათის განმავლობაში, ქუჩა-ქუჩა დაგვყვებოდნენ. ესენი იყვნენ: ზურაბ სარალიძე - კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელი, რომელიც ნიკეას ქუჩაზე მაცხოვრებელ მოქალაქე „გერონტის“ სახელით გაგვეცნო, იმის ნაცვლად, რომ ნიკეას მე-5 ჩიხში სტადიონის ჩაგდებულ პროექტსა და გადათხრილ ქუჩებს ხედავდეს. თენგიზ ფხაკაძე - ნიკეას მუნიციპალიტეტის თანამშრომელი, საჯარო მოხელე, რომელიც „ძველ ბიჭად“, „ბონდოს“ სახელით გაგვეცნო. თუ არ ვცდები, საკრებულოს ერთ-ერთი წევრის ნათესავია და ამით ამაყობდა კიდეც. ამას ყველაფერს ხელმძღვანელობდა მერის წარმომადგენელი, ქალბატონი ნინო ტყეშელაშვილი, რომელიც ამას ყველაფერს იღებდა და ზუსტად 5 წუთში პირდაპირ „post TV-“ზე იტვირთებოდა მისი გადაღებული მასალები. საინტერესო პიროვნება - ლაშა ხინგავა, რომელიც ცხოვრობს ავანგარდში. როდესაც მე ვიყრიდი კენჭს, დამხვდნენ ეს პიროვნება და ბატონი ნიკა დვალი, ასევე ტრანსპორტის კომპანიის თანამშრომელი, როგორც ავანგარდის უბნის გაბრაზებული მოქალაქეები და დღეს როგორც ნიკეას ქუჩის გაბრაზებული მოქალაქე. ცოტა ხნის წინ, სწორედ ეს ხინგავა, როდესაც ლიფტის შეკეთება მოხდა აღმაშენებელზე, დევნილების კორპუსში, ტელევიზიით წარმოგვიდგა საზოგადოებას და ინტერვიუ მისცა როგორც დევნილმა, რომელიც მადლობას უხდიდა ბატონ სოსოს და კმაყოფილი მოქალაქის როლს ასრულებდა. ბატონი დავით ბუხრაშვილი - ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელი. ჩვენ ვსაუბრობთ პოლარიზაციის დასრულებაზე, ევროკავშირზე. სინამდვილეში, ეს საქციელი არის ამ პროცესის საბოტაჟი. გვერდზე იდგა „სუსის“ ავტომობილები და „სუსის“ თანამშრომლები ამას ხელმძღვანელობდნენ, მაგალითად, თენგიზ ფხაკაძე პირდაპირ სატელეფონო კავშირზე იყო კონკრეტულ ადამიანთან და აბარებდა ანგარიშს. ეს ადამიანები იმუქრებოდნენ, რომ თუკი ვინმე, სადმე გამოჩნდებოდა ამ ფლაიერებით, ყველგან მივიდოდნენ. სწორედ ეს არის საბოტაჟი. თქვენ ერთს ამბობთ ევროკავშირთან დაკავშირებით და მეორეს მხრივ, საჯარო მოხელეები ჩადიან ასეთ საქციელს, რაც ამ პროცესის ჩაშლის მიზეზია. მე მინდა ბატონო ირაკლი, გადმოგცეთ ეს ფლაიერი უწყინარი წარწერით: „შინ ევროპისაკენ“,

სადაც წერია რამდენია პენსია ევროკავშირში, რა სარგებლობა შეიძლება მიიღოს მოსახლეობამ ევროკავშირის წევრობით. არა მგონია ამ „სტიკერებით“ რამე გაფუჭდეს და ქვეყანა დაიქცეს. მინდა ქალაქის მერს ვუთხრა, რომ სირცხვილია, როცა მისი თანამშრომლები დადიან, ხან კვერცხებით, იყო შემთხვევები ისტორიული შენობები შეღებეს საღებავებით, მოსპეს, გაანადგურეს, მათთვის პასუხი არავის მოუთხოვია. დაველოდებით და კეთილი ინებოს დისციპლინარული სასჯელები განახორციელოს ამ ადამიანებზე, რომლებიც ყველანაირ ჩარჩოს არღვევენ. ქუთაისელებმა უნდა იცოდნენ, რომ სწორედ ამ ზონდერებითაა გამოვსებული ახლად შექმნილი ააიპი და 500 ათას ლარით გვიწევს მათი ყოველწლიური დაფინანსება. 3700 ათასი ლარით გვიწევს ტრანსპორტის შპს-ს დაფინანსება, სადაც აქტივისტების რაოდენობა ლამის მიუახლოვდა მძღოლების რაოდენობას. შეიძლება მალე მათმა რაოდენობამ კიდეც გაუსწროს მძღოლების რაოდენობას. ჩვენ კარგად გვახსოვს ჯერ კიდევ არაშენებულ შენობაში დირექტორის, მისი ორი მოადგილისა და 10 ადამიანის ხელფასს რომ ვიხდიდით წლების განმავლობაში. მოგიწოდებთ, ყველამ ერთად დავგმოთ ეს საქციელი, ეს არ არის გზა, რომელიც მიგვიყვანს ევროპამდე. როდესაც ვსაუბრობთ დეპოლარიზაციის დასრულებაზე, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაზე, ეს უნდა მოხდეს საქმით. ვთხოვოთ მერიის აპარატის უფროსს, დაიწყოს მოკვლევა, ჩემ „ლაივ“ ჩართვებშიც ისმის მათი უცენზურო სიტყვები. ისინი დადიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, აღიზიანებდნენ მოსახლეობას და მათი აბსოლუტური უმრავლესობა საერთოდ არ იყო იმ უბნის მაცხოვრებელი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ვიმყოფებით საკრებულოს სხდომაზე და საზოგადოება ინტერესდება საკრებულოსა და თვითმმართველობაში მიმდინარე იმ საკითხებით, რომლებიც გვაქვს განსახილველი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „თქვენ გინდათ თქვათ, რომ რეგლამენტსა და ეკონომიკის სამსახურის დებულებაში ცხრაჯერ შეტანილი ცვლილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ევროკავშირი? მანქანის ჩუქება ტრანსპორტის

კომპანიისთვის, რომ მისმა აქტივისტმა თანამშრომელმა უფრო კომფორტულად იარონ, ეს უფრო მნიშვნელოვანია?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „საკრებულოს ნებისმიერი წევრისათვის მნიშვნელოვანია ეს საკითხი. თქვენ მოახდინეთ ადამიანების პერსონიფიცირება. გინდათ შემოგყვეთ მსჯელობაში თუ ვინ არიან ეს კონკრეტული ადამიანები, არიან თუ არა საჯარო მოხელეები, აქვთ თუ არა უფლება გამოხატონ თავისი პოზიცია თუ რაში გამოგყვეთ? ნებისმიერ საჯარო მოხელეს, საჯარო ვალდებულებების მქონე პირს, აქვს შესაბამისი ინტერესი და შესაბამისი მოცემულობა. თუ ის არღვევს საჯარო ინტერესს, არღვევს კანონს სამსახურებრივი უფლებამოსილების პროცესში, ამ შემთხვევაში, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის პასუხისმგებლობა, რომელიც კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოს და მის თანამშრომელს ეკისრება, უნდა იქნეს განხილული ამ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. თქვენთვისაც და ჩვენთვისაც ეს საინტერსოა, ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ მერია და კონკრეტული ადმინისტრაციული სამსახურები უნდა დაინტერესდნენ აღნიშნული ფაქტით და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები კანონთან მიმართებაში. დანარჩენი დამატებითი საკითხების პოლიტიზირება, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნა გვაქვს და ხმამაღლა ვსაუბრობთ ამაზე, დავიწყოთ ამ დარბაზიდან. ჩვენ მივცეთ მაგალითი თუნდაც ამ საჯარო მოხელეებს ან ნებისმიერ მოქალაქეს, რომ დავასრულოთ ეს დაპირისპირება და ვიმსჯელოთ იმ საკითხების ირგვლივ, რომელიც აწუხებს მოქალაქეებს. ამ საკითხების მოგვარებაში ჩვენ ბევრი შეხების წერტილი გვაქვს და გუშინ, ამასთან დაკავშირებით, მედიის საშუალებითაც ვისაუბრეთ. არგუმენტაციის გზით ვახდენთ კონსესუსის მიღწევას, რომელიც შემდგომში აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ეს შეხების წერტილი უნდა ვნახოთ და პოლარიზაციის პროცესის დასრულება დავიწყოთ ამ დარბაზიდან ნებისმიერი ფორმით, ნებისმიერ ძალადობას, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს, ღიად და მკაფიოდ ვემიჯნები და დარწმუნებული ვარ, საკრებულოს თითოეული წევრი და საზოგადოება ამაში არის ერთიანი. ჩვენ ვსაუბრობთ ძალადობაზე, ძალადობრივ მოწოდებებზე, ბევრი მაგალითი გვაქვს სიძულვილის ენაზე საუბრის, ამ პროცესიდან ჩვენ მაქსიმალურად უნდა

მოვახდინოთ დისტანცირება და საზოგადოების ინტერესი არ არის ასეთი დამოკიდებულება, ერთმანეთთან ხმამაღალი საუბარი და მათ შორის, ყვირილი. ასე ვერ მივაღწევთ იმ მიზანს, რომელიც მკაფიოდ საქართველოს მოქალაქეების 85%-ს აქვს არჩეული. 85%-ს აქვს არჩეული ევროპული განვითარება და პერსპექტივა და ეს არის შეუქცევადი პროცესი. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ყველამ ერთად, რომ ის რეკომენდაცია თუ მოცემულობა, რომელიც დგას ჩვენს დღის წესრიგში, შევასრულოთ ყველამ ერთად და კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, რომ დავიწყოთ ამ დარბაზიდან."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „თქვენი აზრით, პოლარიზაციას რამდენად შეუწყობს ხელს ის ფაქტი, რომ, როდესაც საკრებულოს წევრი, პარლამენტის წევრი დადის მოქალაქეებთან, არიგებს ამ ყოვლად უწყინარ ფლაირებს, საუბრობს წყნარად, იქ ჟურნალისტებიც არ იყვნენ, მათ მხოლოდ ინციდენტის მერე ჩართეს „ლაივი", მათ აგრესიული საჯარო მოხელეების ჯგუფი დასდევს. ამას ისინი ვერ გაბედავდნენ „სუსის" გარეშე. თქვენ რამდენად სწორად მიგაჩნიათ ეს?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გაგეცით პასუხი. ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა, რომ ნებისმიერ ძალადობას ვემიჯნები ცალსახად. ნებისმიერ თანამდებობის პირს უნდა ჰქონდეს საშუალება მოქალაქეებთან იყოს კომუნიკაციაში. ეს არის საკრებულოს წევრის პირდაპირი მოვალეობა და პირდაპირი მოვალეობაა ნებისმიერი პოლიტიკური სუბიექტის. არ შევდივარ ამ შინაარსში და კონკრეტულ პირებზე არ მინდა საუბარი. თუ ვინმეს, რაიმე სახის სამსახურებრივი გადაცდომა აქვს, ამაზე შეიძლება იმსჯელოს კონკრეტულმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, კონკრეტულმა შპს-მ თუ ააიპ-მა, ამაში გეთანხმებით. დანარჩენზე ვერ გამოგყვებით, ფლაერი ხომ გამოგართვით? დანარჩენზე საუბარი საკმარისია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი"): „მოგესალმებით, მინდა შემოგთავაზოთ ჩვენი გუნდის - „სტრატეგია აღმაშენებლის" ინიციატივა. დღეს, კიდევ ერთხელ, ისტორიის

გზაგასაყარზე დგას საქართველოს არჩევანი, ვიქნებით თუ არა ჩვენ ცივილურ სამყაროსთან? ქუთაისი ყოველთვის იყო ევროპული ღირებულებების, კულტურისა და იმ წესრიგისა და მისწრაფების ინიციატორი, რასაც ევროპა მოითხოვს. ვინაიდან, ვთანხმდებით და ამ პოზიციაზე ვართ და ვუერთდებით ევროკავშირის რეკომენდაციებს, შემოვდივარ ინიციატივით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოვამზადოთ რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვუერთდებით იმ ინიციატივების, მოთხოვნების და იმ რეზოლუციების შესრულებას, რაც შემოგვთავაზა ევროკავშირმა. ქუთაისი იქნება პირველი თვითმმართველობა, რომელიც განაცხადებს, რომ მზად არის შეასრულოს ეს 12 პუნქტიანი გეგმა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მადლობთ ბატონო კობა, თქვენ გაქვთ საშუალება შეიმუშაოთ ტექსტი, კონკრეტული დოკუმენტი, წარმოუდგინეთ საზოგადოებას და კონკრეტულად საკრებულოს, როგორც ინსტიტუციას. კონკრეტულად ამ ნაწილში, რომელიც თქვენ დააფიქსირეთ და რა ფორმაზეც შევჯერდებით, გამოვხატოთ ერთიანი პოზიცია. ევროპული პერსპექტივა და ევროპული არჩევანი არ ეკუთვნის რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტს და ეს არ არის პოლიტიკური სუბიექტის მიკერძოების ნაწილი და ნურც ვცდილობთ, რომ პოლიტიკურმა სუბიექტებმა რაღაც ფორმით მივიწებოთ ეს არჩევანი. ეს არის საზოგადოების არჩევანი და ჩვენ, როგორც პასუხისმგებელმა პირებმა და პოლიტიკის გამტარებლებმა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს არჩევანი იყოს შესრულებული. ეს არის საზოგადოების მოთხოვნა და ამ პოზიციაში ვართ ერთიანები. ამ ერთიანობისთვის კი გვჭირდება ერთმანეთთან შეთანხმება, დიალოგი და გაერთიანება. ჩვენ ადგილობრივ დონეზე გვაქვს ისეთი მექანიზმები და მათ შორის, ისეთი შეხების წერტილები, როდესაც ვთანხმდებით საერთო პოზიციებზე და იმაზე, რომ ეს უნდა განვახორციელოთ ერთიანი ძალისხმევით. ამის საუკეთესო მაგალითია გენდერული საკონსულტაციო საბჭოს დღევანდელი მოცემულობა, როდესაც ჩვენ, პოლიტიკური სუბიექტები, შევთანხმდით არასამთავრობო სექტორთან ერთად, რომ ამ საკითხზე ზრუნვა არის ჩვენი საერთო ამოცანა. სწორედ ასე უნდა ვიზრუნოთ იმ

პერსპექტივაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას დღეს აქვს და იმ მომავალზე, რომელიც აუცილებლად ევროპაშია ჩვენი ქვეყნისათვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“): „მართალია ეს არის ჩვენი ინიციატივა, მაგრამ ეს არის ყველას საქმე და სიტყვა და საქმე უნდა იყოს ერთი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გეთანხმებით ბატონო კობა და მადლობა, რომ რაღაც პერიოდის შემდეგ, ამ განცხადებით გახსენით თქვენი მოსაზრებები საკრებულოს სხდომაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „დავაფიქსირებ ფრაქციის პოზიციას. ამ რეზოლუციას მხარს დაუჭერს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მოვუწოდებ საკრებულოს, რომ ერთიანი პოზიცია დავაფიქსიროთ. მართალია, უკრაინასთან დაკავშირებით ვერ მოვახერხეთ მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას დავპირდით. მე გავეცანი ამ რეზოლუციის შინაარს, აქ არაფერი წერია ზედმეტი, ძალიან მოზომილი, დეკლარირებულია და ჩვენი ფრაქცია უჭერს მხარს. მე გთავაზობთ ერთად დავიწყოთ სიარული ხალხში და ერთად გავაცნოთ მათ თუ რა არის ევროპა. როგორ უნდა იქცეოდნენ საჯარო მოხელეები და როგორია მათი ქცევა ევროპაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გთხოვთ, დავასრულოთ საუბარი კონკრეტულ პირებზე. არ აინტერესებს საზოგადოებას ის თემები, რომლებზეც თქვენ საუბრობთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **პ.ადამაძე:** „ბატონო გიგა, თქვენ ახსენეთ ჩემი თანამშრომლები დ პირადად აპარატის უფროსი. ვისარგებლებ შემთხვევით და აღმასრულებელის სახელით მინდა პასუხი გაგცეთ ამ განცხადებაზე. პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ევროინტეგრაცია არ მგონია, იყოს საჯარო მოხელეების დისკრიმინაცია და მათ ინტერესების დარღვევა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „რას ნიშნავს დისკრიმინაცია, მე მივედი და მე მივაყენე შეურაცხყოფა? აი, სწორედ ეს არის ამ ძალადობის წახალისება. ეს არის თავზე ხელის დაფარება, მერე მანქანებით უზრუნველყოფა, პრემიების გამოწერა და ასე შემდეგ. თქვენი ამ საქციელით ახალისებთ ძალადობას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „პირველივე წინადადებით დაიწყეთ ძალიან ცუდად. მოძალადე საჯარო მოხელეზე ამბობთ, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „თქვენ წადით და არ წაიყვანოთ ხატია და სხვები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „სხვათა შორის, ბატონო ამირან, მე რომ კენჭს ვიყრიდი, მაშინ მოვიგე ნიკეას უბანზე და ახლა მაჟორიტარი ვინც არის ძალიან კარგად იცით. ასე რომ იქცეოდით, იმიტომ მიიღეთ ეს შედეგი. აქ არის ამ ძალადობის გამართლება და მე ამ სხდომაში მონაწილეობის არ ვაპირებ. წაახალისეთ თქვენი თანამშრომლები. უკვე ძალადობის წამხალისებლები ხართ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **პ.ადამაძე:** „პირველ რიგში, მე ვერ შემოვალ პოლიტიკურ შეფასებებში, ვინაიდან, მე არ ვარ პოლიტიკური თანამდებობის პირი. მე ვარ საჯარო მოხელე, რომელსაც სახელმწიფო ფულს მიხდის იმაში, რომ შევასრულო ჩემი ვალდებულებები. მე ვარ მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ვალდებული ვარ, ყველა მსგავს შემთხვევაზე მქონდეს როგორც რეაგირება, ასევე, დავიცვა საჯარო მოხელეების უფლებები. პირველ რიგში, გავიხსენებ გასული წლის დეკემბრის სხდომას, როდესაც საკრებულო იღებდა

ქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს და მაშინ ჩემი პირადი მონაცემები, საუბარია სახელსა და გვარზე, იქნა გაჟღერებული ბატონი გიგას მიერ, ეს იყო „პერსონალურ მონაცემთა შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა, ეს იყო პირადად ჩემი უფლებების დარღვევა. თუმცა, როცა საუბარია ჩემი თანამშრომლების უფლებების დარღვევასა და დისკრიმინაციაზე, მე ჩავთვალე ვალდებულად თავი ეს ყველაფერი გამეჟღერებინა. მეორე ფაქტია ის, რომ ბატონმა გიგამ წინა სხდომაზე, ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მატერიალურ - ტექნიკური განყოფილებისა და კულტურის განყოფილების თანამშრომლები ერთ სამსახურში არ შეიძლება იქნეს აღქმული. მე ვთვლი, რომ ეს არის საჯარო მოხელეების დისკრიმინაცია. რაც შეეხება ადმინისტრაციულ ერთეულს, იგი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამსახურის ნაწილს. მისი თანამშრომლების ვალდებულებაა ტერიტორიულ ორგანოებში გააკეთონ მოკვლევა. მადლობას გადავუხდი მათ იმისათვის, რომ ისინი ღირსეულად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **რ.ქვაჩაკიძე:** „ვის უხდით ბატონო პეტრე მადლობას და რისთვის? თქვენ ამბობთ, რომ თქვენ ფულს გიხდიან მუშაობაში. როცა ხალხის ფულს გიხდიან, რატომ არ აკონტროლებთ თქვენ თანამშრომლებს. მე ვფიქრობ, თქვენ ვერ ართმევთ სამუშაოს თავს და იმათთან ერთად თქვენც მოსახსნელი ხართ. თქვენ არ შეგიძლიათ თავი გაართვათ თქვენს თანამდებობას, ვერ აკონტროლებთ თქვენს თანამშრომელს და მადლობას როგორ უხდით და რისთვის. ჩვენ გვინდა ევროპა და თქვენ ამას ვერ აცნობიერებთ, ვინაიდან, გაქვთ კარგი ხელფასი და ამას ვერ თმობთ. არ იცით რას უკარგავთ შვილებს. თქვენი, თქვენი თანამშრომლების, პრემიერ - მინისტრის და ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, რომ დღეს უარი გვითხრა ევროპამ. თქვენ ძალიან ცუდად იქცევით ბატონო პეტრე, მადლობას კი არ უნდა უხდიდეთ, საყვედურს უნდა უცხადებდეთ ქვეყნის ბედი რომ გაწუხებდეთ, იმის გამო, რომ პარლამენტის წევრს და გიგა შუშანიას მიაყენეს შეურაცხყოფა. ბატონი ბაქარი გახარებული იყო იმით, რომ ერთი ნიკეას ქუჩის მაცხოვრებელი იყო. რატომ იყო საჯარო მოხელე იქ ეს არ უკითხავს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **ბ.ბასილაძე:** „სტილი დაცული გაქვთ, იყვირებთ და დატოვებთ სხდომათა დარბაზს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **რ.ქვაჩაკიძე:** „ბატონო ირაკლი, როგორ უხდით ხელფასს იმ თანამშრომელს, რომელიც სამუშაო საათებში ვერ აკონტროლებს მის თანამშრომლებს და მათ, გუშინ ჩადენილი საქციელისთვის უხდის მადლობას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ეს ყველაფერი მოხდა ჩემს უბანში და მიდის დავა იმაზე, იყვნენ თუ არა ნიკეას ქუჩის მაცხოვრებლები. მეც მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. პირველ რიგში, მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი უბნის მაცხოვრებლებს, იმიტომ, რომ მართლაც დიდი თმენის უნარი გამოიჩინეს და ის შეურაცხყოფები აიტანეს. იქ იყო მხოლოდ ნიკეას ქუჩის სამი მაცხოვრებელი, ერთ-ერთი ბატონი ზურაბი, რომლის ოთახშიც ვიყავი რამდენიმე დღის წინ და იქ მოვიდა ადამიანი, რომელსაც სტალინის სურათი უკიდია ოთახში. სტალინის სურათს, რომ ჩამოკიდებ და ევროკავშირის დასაცავად მოხვალ, ცოტა უხერხულია. მე მგონი, დავიწყებული გაქვთ, რომ პოლიტიკური პასუხისმგებელი პირები ხართ ამ ქალაქში. თქვენმა პარტიამ და თქვენ ჩაიდინეთ ცუდი საქციელი და პირდაპირ ვიტყვი, დააორგანიზეთ გუშინდელი დღე. ახლა აქ მართავთ მასკარადს და ზოგი გმობთ და ზოგიც მადლობას იხდით გუშინდელი დღისთვის. ჯერ თქვენ შეთანხმდით ერთმანეთში.“

ამის შემდეგ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის წევრებმა დატოვეს სხდომათა დარბაზი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მათ აკისრიათ პასუხისმგებლობა და ეს არის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის მიღება. მათ საკრებულო მიაჩნიათ პლაცდარმად, რომ ასეთი დესტრუქციული მოქმედებები განახორციელონ და წავიდნენ. სხდომის საკითხების

ირგვლივ მსჯელობა მათ არ შეუძლიათ. ბატონმა კობამ დააფიქსირა აზრი საკითხთან მიმართებაში. ხომ შეგვიძლია ასეთი ურთიერთობები გვქონდეს?!“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „როდესაც პოლიტიკურ განცხადებას აკეთებ, უნდა დაფიქრდე რომელი გუნდის წარმომადგენელი ხარ და რა აქვს ცხოვრებაში შენ გუნდს ნაკეთები. მე მინდა მოსახლეობამ კარგად მოისმინოს. ეს გუნდი დღეს ქადაგებს, რომ მთელი გულით უნდა ევროპაში შესვლა. სად იყო ეს ხალხი და მათი მეთაურები, როდესაც ხალხს ავიწროვებდნენ და ქონებას ართმევდნენ, ეს წერია ევროპაში? უმიზეზოდ დაიჭირო, აწამო, ჯოჯოხეთი მოუწყო. მოდიხარ 3000 ლარიანი დანაზოგით და წასვლის დროს უკვე მილიარდელი ხარ. ეს არის ევროპისკენ გზა? მშვიდად, კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩაატარო სხდომა, მათთვის მიუღებელია. მათ უნდათ, ლაფი დაასხან იმ გუნდს, რომელიც მართლაც დინჯად მიდის ევროპისკენ. ჩვენი გუნდის მიერაა მოწერილი ხელი ასოცირების ხელშეკრულებაზე, ყველა იმ პუნქტებში 40%-ზე მეტი გვაქვს შესრულება, უკრაინაზე მეტიც კი და ყველა იმ ქვეყანაზე მეტი, ვისაც გაწევრიანების სურვილი აქვს. რამდენი ნაბიჯი გადაიდგა სწორედ ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ. სწორედ ამ ადამიანმა მოიყვანა ჩვენი გუნდი, რომელიც დღეს აგრძელებს გზას ევროპისკენ. მე ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის წევრი ვიყავი და აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ მიუღებელია, როდესაც ადამიანს აკნინებენ მისი ნებისმიერი აზრის გამოხატვის გამო. სტალინის სურათის ჩამოკიდების გამო დავსაჯოთ ეს ადამიანი? ჩემთვის ევროპული ღირებულებები ყველაზე მთავარია და ეს ადამიანი დავაკნინოთ იმის გამო, რომ სტალინი მოსწონს და სხვა ღირებულებები აქვს? როდესაც ისინი იყვნენ, 2012 წლამდე, მმართველობა იყო ერთპიროვნული, ზომბირებულები. მათი გადმოცემით საჯარო მოხელეს არა აქვს უფლება არ მოსწონდეს ამერიკა, რუსეთი ან რომელიმე ქვეყანა და გამოხატოს თავის დამოკიდებულება, თუნდაც არასწორად და ნაცვლად იმისა, რომ ყოფილიყო სამსახურში, იყო იქ და დააფიქსირა თავისი აზრი. ამის გამო დავაპატიმროთ თუ რა ვქნათ? ევროპული ღირებულებაა ის, რასაც მიჰყვება „ქართული ოცნება“ და ბოლომდე გავაგრძელებთ ასე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „პირველ რიგში, მინდა ჩვენს კოლეგას, ბატონ პაატას მივულოცო დაბადების დღე. მინდა მადლობა ვუთხრა ბატონ ირაკლის და ყველა ჩვენს კოლეგას მოთმინებისთვის და ინტელექტის გამოჩენისთვის. ჩვენს მოსახლეობას და საზოგადოებას ნამდვილად ასეთი საკრებულო ეკადრება. რაც შეეხება ევროპულ ღირებულებებს და ევროპისკენ სვლას. ბატონი გიგა შუშანიასნაირები ვერასდროს იქნებიან ვერც ქუთაისში და ვერც საქართველოში ევროპული ღირებულებების დამცველები. მათ გარშემო არიან ახალგაზრდები, რომლებსაც არ ვიცი, ახსოვთ თუ არა ის დრო, მაგრამ ახლა ისინი არიან იმ პარტიის წარმომადგენლები, რომლებსაც კონსტიტუციაში ჩაწერილი არც ერთი მუხლი, ადამიანის თავისუფლებიდან დაწყებული, არ შეუსრულებიათ. ეს იყო მხოლოდ სისტემური დანაშაულების მანქანა, რომელიც ძალიან კარგად ახსოვს თითოეულ ჩვენგანს და მოსახლეობას. ჩვენ, ყველაფერს ვისმენთ და ვითმენთ, რადგან არ გვინდა ეს პოლარიზაცია და მივდივართ დეპოლარიზაციისკენ. მაქსიმალურად ვცდილობთ, არ დავუპირისპირდეთ ერთმანეთს. არის საკითხები, რომლებშიც ერთიან პოზიციაზე უნდა ვიყოთ, საკითხები, რომლებიც სჭირდება მოსახლეობას და სხდომის დაწყებიდან მოგვიწოდებს თავმჯდომარე. ევროპული გზა არც „ნაციონალური მოძრაობისაა“, არც „ქართული ოცნების“ და არც არცერთი პარტიის, ეს არის მოსახლეობის 85%-ის არჩევანი. ამას, ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერ შეუშლის ხელს და ჩვენი ხელისუფლება მიდის აქეთკენ. პირველ პუნქტად გვიწერია დეპოლარიზაცია. თუ შეიძლება ამ სიტუაციაში მოხდეს დეპოლარიზაცია? მაქსიმალურად ვცდილობთ ვიყოთ წყნარად, კორექტულები იმ მოსახლეობისთვის, რომელიც ჩვენ დღეს გვიყურებს, აგვირჩია და შემოგვიყვანა აქ, რათა ქალაქის საკეთილდღეოდ ვიმუშაოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, საფ8ინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე:** „პირველ რიგში, მინდა მათ ნაცვლად მოსახლეობას მოვუხადო ბოდიში და საჯარო მოხელეებს თანავუგრძნო მათ მიერ ჩადენილი ქმედება, რომლის შედეგადაც ბევრ საჯარო მოხელეს უწევს პროკურატურაში სიარული. დღეს დაკითხვაზე არიან დაბარებული, თითქოსდა

სოციალურად დაუცველი ადამიანების თანხა მიითვისეს. ეს არის მარაზმი. მე მინდა გამოვხატო თანადგომა ყველა საჯარო მოხელის მიმართ. დღესაც ტყუილი გააჟღერეს. ის ადამიანები, რომლებზეც საუბრობდნენ, არ არიან საჯარო მოხელეები. ისინი არიან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით აყვანილი პირები. აქედან გამომდინარე, ყველას გეტყვით, რომ ჩვენი გუნდი ყოველთვის იქნება თქვენი ინტერესების დამცველი, ყოველთვის ვეცდებით ამოგიდგეთ მხარში. არა მგონია, ბატონ გიგას ოდესმე ემუშავა თქვენს პოზიციებზე, თორემ აუცილებლად ეცოდინებოდა საჯარო მოხელის შრომის ფასი. მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზ.მამასახლისი:** „მე ნამდვილად არ მინდოდა ნაციონალების გარეშე ჩემი მოსაზრების გამოთქმა. ესენი სულ ესწრებიან სხდომას, მაგრამ იკამათებენ, იყვირებენ და ტოვებენ სხდომათა დარბაზს. ჩვენ ქართველებს გვაქვს ასეთი ანდაზა: „გაღმა შეედავე და გამოღმა დაგრჩებაო", ზუსტად იმას გვაბრალებენ, რასაც თავად აკეთებდნენ. ჩვენ გვიყურებს ახალგაზრდა თაობა, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენ მიერ გავლილ გზაზე და ასეთ მაგალითს და ამის იმედს ვაძლევთ მოსახლეობას, რომელმაც მოგვცა ხმა? ჩვენ ვწყვეტთ ქალაქის საჭირბოროტო საკითხებს და უკვე მე-8 სხდომაა გრძელდება ერთი და იგივე. მართალია გვაქვს თმენის ვალდებულება, მაგრამ ამან არ უნდა გაიაროს ჩვენი თავმოყვარეობის ზღვარზე. გამოთქვით თქვენი აზრი, მოვისმენთ როგორი მიუღებელიც არ უნდა იყოს, მაგრამ ყვირილი მიუღებელია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „სწორედ ამაზე ვსაუბრობდი. ეს არ არის საუკეთესო მაგალითი, რომელიც შეიძლება დაინახოს საზოგადოებამ."

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-8 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2022 წლის 29 ივნისის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**მე-8 სხდომის დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებულ იქნა**

პირველი საკითხი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-8 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის N22 საჯარო სკოლისათვის“ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის, ნესტორ გოქაძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გენად კუჭუხიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
ხელმძღვანელის მოადგილე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს მე-8 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, გ.შუშანია, გ.კილაძე,

ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე,

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-8 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 29 ივნისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დადგენილების პროექტის მე-8 მუხლის შემდეგ დაემატა პუნქტი შემდეგი რედაქციით: „სამსახურის ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილების ფუნქციებია:“; აქვე, „გ“ ქვეპუნქტში სიტყვა: „პორტფელი“, შეიცვალა სიტყვით: „პორტფოლიო“.**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ**.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე,

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

ცვლილებები იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივნისის **N დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N 35** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის N22 საჯარო სკოლისათვის“ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის, ნესტორ გოქაძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 29 ივნისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის სათაურში ფრაზის: „ქალაქ ქუთაისის N22 საჯარო სკოლისათვის“ წინ, ჩაემატა ფრაზა: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის“; განკარგულების პროექტის პრეამბულიდან ამოღებულ იქნა ჩანაწერი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 და 24-ე მუხლების შესახებ“, აქვე დაემატა „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების**

სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლი. გამომდინარე აქედან, განკარგულების პროექტის პრეამბულა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის, „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის № 194 ბრძანების, ქალაქ ქუთაისის № 22 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 2 სექტემბრის № 7 ოქმისა და ქალაქ ქუთაისის № 22 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2021 წლის 7 სექტემბრის №10 ოქმის საფუძველზე:“; განკარგულების პროექტის პირველ მუხლში ჩაემატა ფრაზა: „პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის“.), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **გ.კუჭუხიძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ა:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.ქებულაძე:** „მე მინდა გავაკეთო მოკლე განცხადება ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს სწორედ ის ნესტორ გოქაძეა, რომლის შვილიშვილსაც წინა ხელისუფლებამ ჩამოართვა სახლი და ღამით გადააფორმებინეს. წინ ევროპისკენ და გამარჯვებისკენ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე,

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-2 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, გენადი კუჭუხიძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივნისის **N 84 განკარგულების** პროექტში.

(„საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის N22 საჯარო სკოლისათვის“ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ამავე სკოლის დამაარსებლის, ნესტორ გოქაძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ **განკარგულება N84** ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, სხდომაზე გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „სოციალურ ქსელში, რამდენიმე დღის წინ, გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, რომ თითქოს მერიამ გააუქმა სვლაგეზები, რომლებიც ემსახურებოდა „უქიმერიონის“ ადმინისტრაციულ ერთეულს და კონკრეტულად გორის დასახლებას. ამ სატრანსპორტო საშუალებებსა და კერძო სუბიექტს, დღესაც შეუძლია ოპერირება, ხვალაც და ზეგაც. მე მინდა დავაანონსო ერთი კარგი ამბავი. ყველამ ვიცით, რომ ჩვენ შევიძინეთ მუნიციპალური ტრანსპორტი, მაგრამ ისეთ ადგილებში, სადაც ვერ ხერხდება ავტობუსების მოძრაობა, დიდი ძალისხმევით მოვახერხეთ და შევიძინეთ 10 მიკროავტობუსი, რომლის პრეზენტაციაც დღეს გაიმართა. ამ შეძენილი მიკროავტობუსებიდან ნაწილი მოემსახურება ჭომისა და გორის მოსახლეობას, ხოლო დანარჩენები სხვა სვლა გეზებზე იმუშავებენ, ისეთ ადგილებში, სადაც ვერ იმუშავებენ იმ კომპანიისთვის, რომელიც აქამდე ოპერირებდა, არავის გაუუქმებია ხაზები და შეუძლიათ გააგრძელონ მუშაობა კონკურენციის ფარგლებში. მათ იცოდნენ, რომ ჩვენ შევიძინეთ მიკროავტობუსები, მოვიცავდით გორას და ჭომას და შეწყვიტეს მუშაობა. ჩვენ არაფერში ვართ დამნაშავე. მიკროავტობუსების შეძენა მიმართული იყო ჩვენი მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს საკითხი კავშირშია პირველ საკითხთან, რომელსაც ვუყარეთ კენჭი. M1 კატეგორია მუნიციპალურ რეგულაციაში აბსოლუტურად არ ითვლება. შესაბამისად, ეს არის კერძო გადამზიდავი, რომელსაც აქვს თავისი ბიზნეს ინტერესი. ჩვენ ამ რეგულაციაში ვერ შევალთ. ჩვენი საარჩევნო დაპირება იყო ის, რომ იმ დასახლებაში, სადაც ხელმისაწვდომი არ იყო მუნიციპალური ტრანსპორტი, გაჩნდებოდა შესაბამისი სერვისი. მინდა მადლობა გადაგიხადოთ მაჟორიტარ დეპუტატებს აქტიურობისთვის. დიდი იყო თქვენი როლი ამ საკითხის ადვოკატირებაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-8 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს მე-8 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-8 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 11:58:43 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.